საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 475 2020 წლის 5 მარტი ქ. თბილისი

ქართველი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ალექსანდრე ლომთათიძის ნეშტის უზბეკეთის რესპუბლიკიდან საქართველოში გადმოსვენების დაგეგმვის მიზნით სამთავრობო კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის ხელშესაწყობად განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, ქართველი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტის ხელმომწერის, საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრ ალექსანდრე ლომთათიძის ნეშტის უზბეკეთის რესპუბლიკიდან საქართველოში გადმოსვენების დაგეგმვის მიზნით, შეიქმნას სამთავრობო კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) **გიორგი სახოკია** – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე – კომისიის თავმჯდომარე;

ბ) საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე – კომისიის წევრი;

გ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე – კომისიის წევრი;

დ) შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე – კომისიის წევრი.

2. კომისიის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის მიღება ეთხოვოთ:

ა) საქართველოს პარლამენტის აპარატის წარმომადგენელს;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელს;

გ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელს;

დ) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელს.

3. დაევალოთ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დაწესებულებებს/ეთხოვოთ ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ დაწესებულებებს, კომისიის შემადგენლობაში შემავალი წევრების ვინაობა წერილობით წარუდგინონ (მათ შორის, ცვლილების შემთხვევაში) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი კვირის განმავლობაში.

4. გადმოსვენების პროცესის კოორდინირებული წარმართვის მიზნით:

ა) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, უშუალოდ ან/და შესაბამისი დიპლომატიური წარმომადგენლობის მეშვეობით, საქართველოს სახელმწიფოს სახელით განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ალექსანდრე ლომთათიძის ნეშტთან დაკავშირებით ადგილსამყოფელ სახელმწიფოში სპეციალური ნებართვების მოპოვებას, საჭირო მოლაპარაკებებს უფლებამოსილ ორგანოებთან და სათანადო გარანტიების გაცემას, ასევე „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის განსაზღვრული ასიგნებებიდან ალექსანდრე

ლომთათიძის ნეშტის საქართველოში გადმოსვენებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას;

ბ) ეთხოვოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ალექსანდრე ლომთათიძის ნეშტის საქართველოში გადმოსვენების შემდგომ განსახორციელებელი ღონისძიებების მხარდაჭერა, რაც გულისხმობს დაკრძალვის ხარჯების დაფინანსებას, სარიტუალო მომსახურებისა და დიდების მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში საოჯახო სასაფლაოზე დაკრძალვის ორგანიზებას;

გ) ეთხოვოს სსიპ – საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს, უზრუნველყოს ფართო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება ალექსანდრე ლომთათიძის ნეშტის საქართველოში გადმოსვენების ფაქტის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შესახებ;

დ) ეთხოვოს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას, სამოქალაქო და რელიგიური პანაშვიდების (2020 წლის 7 – 9 აპრილი) ჩატარების მიზნით, ალექსანდრე ლომთათიძის ნეშტისთვის შესაბამისი საკულტო ნაგებობის შენობაში სათანადო სივრცის დათმობა.

5. გადმოსვენების პროცესის ეფექტიანი და შეუფერხებელი წარმართვის მიზნით, კომისია უფლებამოსილია:

ა) სათანადო სახელმწიფო, მუნიციპალური და კვლევითი ორგანიზაციებიდან გამოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და საბუთი;

ბ) შექმნას თემატური ჯგუფები და მიიწვიოს ექსპერტები, თავიანთ კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესწავლის, სათანადო რეკომენდაციების შემუშავების ან/და ალექსანდრე ლომთათიძის მოღვაწეობასთან დაკავშირებით საჯარო ლექციის ჩატარების მიზნით;

გ) შეიმუშაოს გადმოსვენების პროცესის დეტალური სამოქმედო გეგმა და გაატაროს მისი აღსრულებისათვის საჭირო ღონისძიებები.

6. კომისია უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა

უბრალო უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. კომისიის ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი. საჭიროების შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილება შესაძლებელია, მიღებულ იქნეა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ამ საშუალებით გამოხატული პოზიცია ან/და მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს.

7. კომისიის სამდივნოს ფუნქციას ასრულებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატი (დეპარტამენტი).

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**